ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30
2023 წლის 20 ივნისი

ქ. ბორჯომი

„ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის 2023 წლის სოციალური დახმარების პროგრამის და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის 2023 წლის სოციალური დახმარების პროგრამის და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №96 დადგენილებაში(www.matsne.gov.ge, 010250000.35.139.016486, 23/12/2022 წელი) და **დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული №1 დანართის „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამა და გაცემის წესის“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.**

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**